

2016 წლის 18 ივლისი

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
საარჩევნო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

არჩევნები დაიწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის საბჭოების სხდომათა დარბაზში. საარჩევნო სიები და კენჭისყრის კაბინა განთავსდა უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-2 თავის მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა 15⁵⁵ საათზე, კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრის დაწყებისთანავე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა დაიწყო 16⁰⁰ საათზე.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა 17³⁰ საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

1. მედიცინის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის საბჭოს წევრთა სიაში რეგისტრირებული 42 პირიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა 31 (ოცდათერთმეტი) პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის 74 (სამოცდათოთხმეტი) %-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე მედიცინის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

თინათინ ჩიქოვანი – 31 (ოცდათერთმეტი) ხმა, 74 (სამოცდათოთხმეტი)%;

ბათილად იქნა ცნობილი 0 (ნული) ბიულეტენი.


მიღებული მონაცემების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ჩატარებულად ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები და მედიცინის

ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობაზე უფლებამოსილების ოთხი წლის ვადით, 2020 წლის 18 ივლისის ჩათვლით არჩეულად იქნას ცნობილი:

1. თინათინ ჩიქოვანი

3. დადგენილი წესით დაილუქოს 2016 წლის 18 ივლისის სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო დოკუმენტაცია. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების უტილიზაცია განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე  ნ. ყურაშვილი

კომისიის წევრები:






ვ. მიქაშავიძე

მ. ივანიძე

ა. ბუაჩიძე